

572  
1978/2

საქართველოს  
საბავშვო ჟურნალი



6N 00C2ECAF1 8261

ქალაქი



## გაცნობა

მვლიმერ ასლაგაზიზვილი

ნახატები თამაზ ხუციშვილისა

კაკლის ტოტზე ჩათვლემილ, ბებერ ყვან-  
ჩალას დილაადრიანად კოდალა დაადგა თავს:

— ყვაეო, ყვაეო, ყვანჩალო!

ძილგამფრთხალმა ყვაემა უკმაყოფილოდ  
დაიჩხავლა:

— რა გინდა, რატომ გამაღვიძე?

— რა ღროს ძილია, ადექი, მე და შენ  
თეკლეს სკოლაში მივყვეართ.

— ვინ არის თეკლე?—იკითხა ყვაემა.

— პატარა გოგოა, წელს პირველად მიდის  
სკოლაში!

— საცაა სამასი წლისა გავხდები და ჯერ  
არ გამიგია ფრინველები სკოლაში წასულიყე-  
ნენ, შენ რალაცას ჩმახავ! — დაიჩხავლა ყვაემა.

— ნისკარტი გამიხმეს თუ ვტყუოდე, —  
დაიფიცა კოდალამ, — ახლა თეკლეს სახლი-  
დან მოვფრინავ, თანჯრის რაფაზე „ღედანა“  
დარჩენია, შიგ ფრინველები ვართ ჩახატუ-  
ლი. იმ წიგნით თეკლე რომ სკოლაში წა-  
ცუნტულდება, ჩვენც თან არ წავგიყვანს?

ჩაფიქრდა ყვაევი, ჩაფიქრდა და თქვა:

— სკოლისა რა მოგახსენო და „ღედანა“

ში" დახატულები თუ ვართ, ეგ კი რალაც დიდი აშავია. მოდი, სხვა ფრინველებსაც შევგებნიანოთ და ვნახოთ. აბა, ერთი, თეკლეს სახლისკენ გავვიძიებო.

აფრინდა კოდალა და უკან ქრიამულით მიჰყუნენ ფრინველები. შორს კი არ წასულან, თეკლეს წითელკრამიტანი სახლი იქვე, ტყის პირას იდგა. ფანჯრის რაფაზე მართლა გადშლილი „დედაენა“ იდო. ფრინველები გარშემო შემოუსკუბდნენ, კისრები წაიგრძელეს და ფურცლებს დააკვერდნენ.

ყვამა თავისი თავი რომ იცნო, სიამაყით ბუმბული აიშალა და:—ყვა, ყვაო!—დაიძახა.

— აგე, სად ვხატავარო,—სიხარულით ლამის ატირდა ბუმბული.

— ვენაცვალე იმას, ვინც აქ დამხატა!— დაიქვხვა შაშვმა.

უცებ საიდანღაც მოფრენილმა ნიავმა „დედაენის“ ფურცლები შეაშრიალა და ფრინველებმა შიშით ხმა გაკმინდეს: ფურცელზე დახატულ კატას მოკრეს თვალი, იმ ეშმაკს თავი მოემძინარებინა.

— არკათ, თავს ვუშველოთ!—დაიწივლა გულყვითვლამ და ყველამ ისევ კაკლის ხეს მიაშურა.

როდის-როდის თეკლემაც გაიღვიძა. ადგა, ხელპირი დაიბანა, ჩანთაში „დედაენა“ ჩადო და სკოლისაკენ წაუტუნკულდა.

ყვანჩალამ უყურა, უყურა სკოლისაკენ მიმავალ თეკლეს და დაიჩხავლა:

— ლამის სამასი წლის ვხდები და ჯერ არ მსმენია ნახტი კატა ნამდვილ კატად იქცეს. რისა გვეშინია, ეგრეც რომ იყოს, თეკლე ისეთი კარგი გოგო ჩანს, ჩვენს თავს კატას არ შეაქმევს, წამოდით, ყველამ ერთად გავაცილოთ.

იმ დილით სკოლის გარშემო ხეებს უამრავი ფრინველი შეესია.

— რა აშბავიაო,—უკვირდა სკოლის ეზოში გამოშლილ გოგო-ბიჭებს და ხის ტოტებზე ჩამომსხდარ ფრინველებს შესტკვეროდნენ. მაგრამ აბა, რას მოიფიქრებდნენ, რომ ამ მზით აბრიალებულ სექტემბრის დილას პატარა თეკლე სკოლაში სწორედ ამ ფრთოსნებმა მოაცილეს.



08257

# სექტემბერი დაღვა

ვივი ვივინაძე

— დღეს სკოლაში მივდივართ!—

ხარობს ჩანთა-ჩანთული.

აღიღინდნენ წიგნები

რუსული და ქართული:

— შრიალ! შრიალ! შრიალა!—

თითქოს შლიან ლაღად ფრთებს.

ჭენაღმა და სამეღნემ

ტამ-ფანდურა გამართეს.

ჩვენს სასახავს შეხედეთ,

რა ტანადი ბიჭია!

საცეკვაოდ წერწება

კალმისტარი ირჩია.

თუმცა ლითონისაა,

უსუღუღლოს რა უგავს?!  
წინ დაღვა კალამს და

თავი კოხტად დაუკრა.

ასტა-დახტა საშლედი,

თითქოს ამ წუთს უცდიდა

და ფერადი ფანქრები

გამოიხმო უუთიდან:

— საცეკვაოდ, საღსუნად

თავი მოვიუარეთო.

თქვენ შინ რაღას უზინართ,

გამობრმანდით გარეთო!—

გამოცეკვიდნენ და-შანი

მოხატულნი შვიდფერად,

წრეში ჩადგნენ მაშინვე

და დასტეკეს სიმღერა:

— რა კარვია, რა კარვი!

ავვისწრულდა ნატერაო!

სექტემბერი დაღვაო!

სექტემბერი დაღვაო!





## ჩვენი მარანი

ენის ბეზარაშვილი

ნახატები ვახტანგ გულისაშვილისა

პაპისეული მარანი გვაქვს. კედლები ძველი ქართული აგურით არის აშენებული, სივანე ერთი მეტრი მაინც ექნება, ქვერში კარგად დათლილი მსხვილი მუხის კოჭებია გადებულნი. კარიც მუხისა აქვს; დიდი, დარაბისებური. გინდა ცოტათი შეაღებ და შეხვალ, გინდა—მთლიანად. ახლა ც მთლიანადაა ღია. მამა იქ არის, სართელოდ ემზადება, ქვევრს რეცხავს. მეც შევდივარ. მარანში გრილა. აქეთ-იქით ვიყურები, ყველაფერს ვათვალიერებ, თითქოს პირველად ვხედავდე იქაურობას. კედელში დატანებულ მრგვალოთაღიან განჯინის ზემო თაროზე ხელადა და კიკა დგას. ქვემოთაზე კი სპილენძის ვედრიანია<sup>1)</sup> დაპირქვავებული. მარანში ბევრი ქვევრია, ზოგი დიდი, ზოგი მომცრო. მხოლოდ ორია მოხდილი. დანარჩენებს მიწა აყრია კონუსებად.

მამაჩემი დიდ ქვევრში ზის და რაც ძალი და ღონე აქვს, ხეხავს კრაზანით<sup>2)</sup>, თან მღერის. ქვევრი ბანს აძლევს და ბუბუნით ამოდის ხმა.

მეორე მოხდილი ქვევრი მარნის ქვემო კუთხეშია—ქვიტყირის საწინახელთან, თუმცა ქვევრი არ ეთქმის, იმაში მოზრდილი ადამიანი ვერ ჩაჯდება, სარცხით უნდა გაირეცხოს. მამაჩემს უკვე ჩაუსხამს წყალი. შიგ ვიყურები და ძირს. სადღაც მრგვალად მოლაპლაპე წყალში ჩემს თავს ვხედავ.

უცბად მომინდა მეც გამეკეთებინა რამე. კუთხეში მიხროვილ ვოგრებიდან და ხაჩაკლებიდან ძლივს გამოვადრე ბლის ქერქის სარცხი, მაგრამ სწორედ ამ დროს მოულოდნელად მამაჩემმა ჯერ გაწუწული თავი ამოყო, მერე იდაყვებით ქვევრის პირს დაეჯინა და მთლიანად ამოვიდა, თან ცალი ხელით კრაზანა ამოიყოლა, რომელიც მოიქნია და გაბრაზებულმა მარნის კედელს სთხლინა.

— რა დროს შემეშალა ხელი ამ ვერანამ! ახლა სადღა ვიშოვი, ყველას თვითონ სჭირდება. რა მომივიდა, კაცო, მეურნეობაში მოვციდი და აქაც ვერაფერს ვერ ვაკეთებ. მომეცი, ლევან, ეგ სარცხი, ქოცოს მაინც ამოვრეცხავ!—მამაჩემმა სარცხი გამომართვა და ახლა ქოცოს დაუწყო რეცხვა.

აჩქარებით რეცხავს მამა, მალ-მალე გადააქვს სარცხის ტარი ერთი ხელიდან მეორე-

<sup>1)</sup> ვედრიანი—ღვინის საწყაოა.

<sup>2)</sup> კრაზანა—ქვევრის სარცხია. ამავე სახელის მალახისგან ვაკეთებულნი.

ში, ხან აქეთ, ხან—იქით, ხან—აქეთ, ხან—იქით. მე კი იქვე მიგდებულ კრაზანას დავყურებ. კრაზანას სამაგრი ვასწყვეტია და მთლად მოფულულხეხილია. დავყურებ და თან გულში ვამბობ:

— ამის გაკეთება ძნელი არ უნდა იყოს, თითქოს ქართულ ი-სა ჰგავს, მაგრამ არა, მარტო ი-ს არა ჰგავს, კიდევ სხვა რაღაცას მაგონებს. ნეტავ რა უნდა იყოს? ფიქრობ, თუმცა ამდენი ფიქრი რად უნდა, მშვილდსა ჰგავს, ერთი ისარი აკლია, თორემ ზედ გამოკრილი მშვილდია. ამასაც შუაში ლარით აქვს გაბმული წნელი.

მარნიდან გამოვდივარ, პატარა წალღს ვიღებ და ზევისკენ მივეშურები, იქ კრაზანები მეგულება. ვიცი ის ბალახი, ძირზე წვრილწვრილი ფოთლები ასდევს. მაღლა წვეროზე კი გაფურჩქნულ რტოებში ყვითელი ყვავილები ეშლება, გვერდებზე ცოცხალი კრაზანები ჩამსხდარანო. ალბათ იმ ბალახს კრაზანას იმიტომ ეძახიან.

სუვე ჩავედი ხევში. ნაპირებისკენ ვაცეცებ

თვალს, კრაზანებს ვათვალიერებ, მაგრამ არ მომწონს. წვნიკებია, ვეგეთები არ გამოდგება. იქნებ ზემოთ უფრო იყოს? მივდივარ. მართლაც, ზემოთ ფერდაზე მაღალ-მაღალი კრაზანები გამოჩნდა. ძირფესვიანად დავგლიჯე, ერთი ამოილოთავება გამოვიტანე და ზევის პირას მშვანეზე დავყარე. მერე ბარდიდან გრძელი, ნორჩი სვია ჩამოვწყვიტე, თხილს წნელები შევაქვრ და ისინიც გვერდზე მივუწყე.

ახლა ვზივარ, კრაზანებს წალღით ფესვებს ვუთლი ცურად. რა მაგარია, როგორც ქვა და რკინა ისეთია, ძლივს ითლება, მაინც არ ვეშვები, ვთლი და სიგრძეზე ვაწყობ ისე, რომ ფესვები ბოლოებში მოხვდეს. აი, სუვე სვიას ვახვევ, არც ეს არის ადვილი. ბალახის ღეროები აქეთ-იქით იფანტება. ხან მუხლი დავადგი კრაზანებს, ხან—იდაყვი და როგორც იქნა, დავახვიე სვია. მაგრამ ჯერ სად არის, ფორმა ახლა უნდა მიეცეს, სიგრძეზე დაწყობილ კრაზანებს ნელ-ნელა მშვილდისებურად ესრი და შუაში დავგრებილ თხილის წნელს ვაბამ.





კრაზანა, ნამდვილი კრაზანა! მშვილდისა ჰგავს, ფესვებიც მგონი კარგადაა ბოლოვებში ჩატანებული. თავი და თავი ხომ ეს არის, ამით უნდა გაიხეხოს ქვევრი.

კრაზანა მხარზე გადავიკიდე, წალღი ავიღე და სახლისკენ წავედი. მამაჩემს უკვე ამოურეცხია ქოცო. ახლა წყალს იღებს პატარა გოგრის ხაპით და ეზოში ღვრის. წყალს წითელი ღვინის ფერი დაჰკრავს, ოღნავ მომეყო სუნი აქვს.

კრაზანა ზურგს უკან დაემალე, მარანში ისე შევედი.

— სად იყავი, ლევან, გეძახოდი, ცოტა დახმარება მინდოდა, — მისაყვედურა მამაჩემმა.

- ზევით ვიყავი, ფერდაზე.
- ფერდაზე რა გინდოდა?
- კრაზანა გავაკეთე.
- კრაზანა? შენ რა კრაზანის ვამკეთებელი ხარ?

- გავაკეთე კი და...
- აბა, მაჩვენე!
- ვაჩვენე. მამაჩემმა კარგად შეათვალღირა,

კვანძები სათითაოდ გაუსინჯა, მაგრად არის თუ არაო, საღდაც რაღაცეებიც გაუსწორა. მერე მე შემომხვდა, თვალები უბრწყინავდა, ეტყობოდა, მოსწონდა კრაზანა, მაგრამ მინც დაეკვებით თქვა:

— მე მგონი არა უშავს რა, შეიძლება გამოდგეს, ვნახოთ, ხელს როგორ გამოაკვება, — იმ წუთის ქოცოს თავი გაანება და ისევ დიდ ქვევრში ჩახტა.

ახმაურდა კრაზანა, აშხაპუნდა წყალი. შხაპ, შხუპ, შხაპ, შხუპ, შხარ...

მამაჩემი რეცხავს ქვევრს, თან მღერის, მე კი მარნის კარის ძირზე ვზივარ და გული მიჩოჩქოლებს: — ნეტავ ივარგა კრაზანამ, რატომ არაფერს ამბობს მამა? თუმცა, რაღა უნდა თქვას, ხმაზე არ ეტყობა რომ კმაყოფილია! კარგად რეცხავს კრაზანა, კარგად!

ვუსმენ ქვევრიდან ამოსულ სიმღერას, ვუსმენ და არ ვიცი მართლა ასეა თუ მე მეჩვენება, მამა ახლა თითქოს ძალიან კარგად მღერის, ქვევრიც უფრო დიდ ბანს აძლევს და ჩვენი ძველი პაპისეული მარანიც მზიარულად გუგუნებს...

# სკოლისაკენ

კ. გომიასვილი

მ ა ი ა

— საით გავიტყუილა  
ამ მზიანმა ამინდმა?

ც უ ზ რ ი ა

— ჩვენი თაკო სკოლაში  
დღეს პირველად წავიდა.

მ ზ ი ა

— კობტად გამოწყობილი  
მიდიოდა სიცილით...

ც უ ზ რ ი ა

ჰოდა, მეც გავაცილე  
კულის ჭიციან-ჭიციანით.

მ ა ი ა

— ნეტავ მეც ვყოფილიყავ,  
მეც მიწოდლა მენახა,  
თაკოს ამხანაგები  
განა მარტო თქვენა ხართ!



ც უ ზ რ ი ა

— ბევრი, ბევრი გექვებთ,  
ვერ გიპოვეთ, ბოდიში...

მ ზ ი ა

— ალბათ ტკბილად გეძინა  
ჩემო კარგო ლოგინში.

ც უ ზ რ ი ა

— გავაცილეფთ... რა იყო...

მ ზ ი ა

— გული დაგწყდა მაიკო?!  
მ ა ი ა

მ ა ი ა

— გული დამწყდა, აბა, რა,  
სად მიდიხართ? დაიცათ!..

მ ზ ი ა

— სიტყვას გაძღვეთ, სკოლაში  
შენც გაგყვებით გაისად  
— სიმღერით და სიცილით...

ც უ ზ რ ი ა

— მე კი კულის ჭიციანით...





— მუღამ როგორ იგვიანებს,  
 დარეკა უკვე წარი;  
 სანამ გინდა ასე გვიან  
 შემოაღო სკოლის კარი?!  
 ძილისგულად, რჩევას მოგცემ,  
 გამოგადგეს, ბიჭო, ვინმდო:  
 დამით ჩართე მადვიძარა,  
 დილით ადრე გაგადვიძოს.  
 — არაფერი არ გამოიძის,  
 რა არ ვცადე, ჩემო ვეპ;  
 მადვიძარას კი ვრთავ, მაგრამ  
 როცა შმინაფს, მაშინ რეკავს!




## ცეკვა

ნუნუ ლალიძე

— გარმონს გასწი გიორგი,  
 ლადო, მაგ დოღს დაჭკარი!—  
 ცერულს ცეკვავს ზურიკო,  
 ბუქნას სცემს ბეჩარი.  
 მერე კახამ-კახუნამ  
 შეისწორა ქამარი,  
 წრემი-მარჯვედ გადასტა,  
 გაიფოლა თამარი.  
 —ტამი, ტამი!—ცეკვავენ  
 თამარი და კახლო,  
 — ცანგაღს და გოგონა!—  
 ლადლო შემოსმასხო.



დათვალა, ნახა, რომ ერთი ბკლდმარტანის  
რს მამას.



სადილობის დროს მამამ იკითხა:

— ბავშვებო, ერთი ქლიაჯი რომელიმე  
თქვენგანს სიმ არ შეუჭამია?

ეკვლამ იუარა; არა, არ გვიჭამიაო.

ვანია კიბთარისხალსავით გაწითლდა, მაგ-

რამ სსუბივით უნახუნა, არა, არ მიჭამიაო.

მამინ მამამ თქვა:

— ცუდი საქციელია თუ რომელიმე  
თქვენგანმა შეჭამა, მაგრამ უბედურება სსვა  
რამქა; ქლიაჯს ბქეს კურკა, თუ ვინმემ ის  
კურკა გადაეულანა, აღარაფერი ეშველებს,  
სვალ მოკვდება და ამისი შეშინია.

ვანია გაფითრდა და თქვა:

— არა, კურკა ფანჯრიდან გადავუგდე-  
ეკვლას გაცინა, ვანია კი ბტირდა.

წელს — სპობიზიკური მთელს მსოფ-  
ლიოვი საზოიფოდ აღიწიუნება უკვ-  
დავი რუსი მწიკლის — ლეხ ბოლს-  
ბოის დავადეიდან 150 წლისთავი.  
ვადადავთ დიდი მწიკლის რა მრ-  
თხარობას.

**ლევ ტოლსტოი**  
**კურკა**

ნამდვილი ამბავი

დედამ ქლიაჯი იეიდა და უნდოდა შეი-  
ლებინსთოის ნახადილეკს ეჭმია. ქლიაჯი  
ჟერ ისევ თეფშეე ეუარა. ვანიას ქლიაჯი  
არასოდეს ეჭმა და სუნაჟდა და სუნაჟდა.  
ბგერი უარა ირკვლიე. როცა თოახში არა-  
ვინ იეო, ვერ მოითმინა, ერთი ცალი ბილა  
და შეჭამა. სადილის წინ დედამ ქლიაჯი



# • კალენჯიკის • ნაპოზიციო ირავა ✦ თუ ჩიბჩილ ✦ ისნავლა აქრვა

ემისი წლისა რომ ვიუავი, დედან ვთხო-  
ვე—რამე საკერავი მომეცი-მეთქი. დედამ  
მითხრა:—ჯერ ჰატარა ხარ, თითებს თუ  
დაინფლექტ, თორემ შეკერვით ვერაფერს შე-  
კერავო.—მე მანც არ მოვეძვი.

მამინ სეიურიდან წითელი ნატყერი ამოი-  
ღო და მომცა. მერე ნემსზე წითელი მაფი  
აავო და მანყენა, სელში როგორ უნდა მჭე-  
როდა.

დავუწვეე კერვა, მაგრამ სწორად ვერ ვავ-  
ვირისტებდი. ერთი გვირისტი დიდი გა-  
მომდიოდა, მეორე—სულ ნაზირსე მიხვდე-  
ბოდა და ისეოდა. მერე თითი დავინფლექ-  
ტე. მალთან მინდოდა არ მეტირა, მაგრამ  
დედამ რომ მკითხა, რა დაგემართავ, ვეღარ  
მოვითმინე და ავტირდი. დედამ ნემსი და  
მაფი გამომართვა და სათამაშოდ გამიშვა.

დასამინებლად რომ დავუწვი, თვალწინ  
გვირისტები მედგა. სულ იმას ვუფიქრობდი,  
ჩქარა როგორ ვისწავლო კერვა-მეთქი, მაგ-  
რამ ეს იმდენად ძველ საქმედ შეწყენებოდა,  
არ მეკონა, ოდესმე თუ შევძლებდი.

მას მერე დიდი დრო გავიდა და დღეს  
აღარც მასსოვს, როგორ ვისწავლე კერვა.  
ჰოდა, როცა ახლა ჩემს გოგონას ვასწავ-  
ლი, მიკვირს—ნემსს წესიერად რომ ვერ  
იჭერს სელში.





# კომბლე

ქართული ხალხური ზღაპარი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი კომბლე. კომბლეს იმიტომ ეძახდნენ, რომ სულ კომბლებსა თლიდა და ჭერში აწუობდა.

კომბლეს ორი ცხვარი ჰყავდა. ეს ცხვრები დილით თავისით წავიდოდნენ საბაღასოდ და საღამოს თვითონ ბრუნდებოდნენ შინ.

ერთ დღეს ცხვრები საბაღასოდ რომ წავიდნენ, შემოსვლათ ძელა:

— ცხვრებო, ვისი ხართ?

— კომბლესი.

— კომბლე რა კაცია?

— კომბლე ის კაცია, კომბლებსა თლის, ჭერში აწუობს, ვინც ჩვენ შეგვჭამს, თავში ჩასცხობს.

— უჰ, მეშინია თქვენი კომბლესიო! — თქვა ძელამ და გაიქცა.

იარეს ცხვრებმა, იარეს და შემოსვლათ

დათვი:

— ცხვრებო, ვისი ხართ?

— კომბლესი.

— კომბლე რა კაცია?

— კომბლე ის კაცია, კომბლებსა თლის, ჭერში აწუობს, ვინც ჩვენ შეგვჭამს, თავში ჩასცხობს.

— უჰ, მეშინია თქვენი კომბლესიო! —

თქვა დათუმა და გაიქცა.

ცხვრებმა იარეს, იარეს და შემოსვლათ

ძველი:

— ცხვრებო, ვისი ხართ?

— კომბლესი.

— კომბლე რა კაცია?

— კომბლე ის კაცია, კომბლებსა თლის, ჭერში აწუობს, ვინც ჩვენ შეგვჭამს, თავში ჩასცხობს, — მიუგეს ცხვრებმა.

— მე თქვენი კომბლესი არ მეშინიაო! —

თქვა ძველმა და ორივე გადაულაზა.

საღამო ხანსე კომბლემ თავის ცხვრებს უცადა, უცადა და შინ რომ აღარ დაბრუნდნენ, იფიქრა, უთუოდ რამე არის იმთ



თავს, თორემ აქამდე კარეთ არ დარჩებოდნენ; წაუიდე, მოვინახო, სამ არაფერმა შეჭამათ. ჩამოიღო ჭურჭლიდან ერთი დიდი კომბალი, გაიღო მხარსე და გასწია ცხვრების სამებნელად.

იარა კომბლემ, იარა და შემოხვდა მელია.

— მელიაჲ, ჩემი ცხვრები არ გინახავს? — ჰკითხა კომბლემ.

— არა, ჩემმა მსემ!

— აბა, კბილები დაკრიჭე!

დაკრიჭა მელიამ კბილები და ჩინია არა ჰქონდა.

კომბლემ განება მელიას თავი და გასწია ისევ ცხვრების სამებნელად.

იარა, იარა და შემოხვდა დათვი.

— დათვო, ჩემი ცხვრები არ გინახავს? — ჰკითხა კომბლემ.

— არა, ჩემმა მსემ!

— აბა, კბილები დაკრიჭე!

დათვმა კბილები დაკრიჭა და ჩინია არა

ჰქონდა.

კომბლემ განება დათვსაც თავი და გასწია ისევ ცხვრების სამებნელად.

იარა კომბლემ, იარა და ბოლოს შემოხვდა მკელი. ნახა, რომ მკელს მუცელი გაბერილი ჰქონდა.

— მკელო, ჩემი ცხვრები არ გინახავს? —

ჰკითხა კომბლემ.

— არა, ჩემმა მსემ!

— აბა, კბილები დაკრიჭე!

დაკრიჭა მკელმა კბილები და ჩინია კი ჰქონდა.

კომბლემ სდრუსა და სდრუსა მკელს კომბალი, სდრუსა და სდრუსა და სული გააფრთხობინა! მერე გაუჭრა მუცელი, გამოიყვანა თავისი ცხვრები და მშვიდობით გაუდგინენ გზას შინისაკენ.

ახლაც თავისით დადიან კომბლეს ცხვრები სებალსოვად და ფი მისი ბრალი, ვინც მათ სელს ახლებს.

# რატომ არის ლაშურა შიშველი

## ბიორგი შეთაქაური

ფრინველთა მეფე არწივმა გასცა ერთხელ ბრძანება: — აბა, აბა, სამ დღეში ყველა დაუზარედად ახალ მოდის სამოსზე გადავიდეს საჩქაროდ. ვინც ამ ვაჟას გადასცდეს, სავანგებო სამსჯავროს გადაეცეს უმადლე, დაისაჯოს საჯაროდ, დაისაჯოს სასტიკად, არცინ დაძინანება. ვიმეორებთ, სამ დღეში შეასრულეთ ბრძანება! ფარშევანგთან მიბრძანდით, ქსოვილები იქ არის, რა ფერისა იქნება ან რა სიგრძე-სიგანის, სქელი, თხელი, როგორც თქვენ გენებოთ—ირჩიეთ, ჩაცმულობით სუსყვიდამ თავი გამოიჩინეთ! ქსოვილებს რომ აირჩევთ,— იქ მერცხალი იქნება, გამოგვიტოვებთ სასწრაფოდ, ვის რა ზომა სჭირდება. შემდეგ, დაუყოვნებლივ, კოდალასთან მიბრძანდით, სულ თქვენს სამსახურშია მისი გრძელი ნისკარტი. შეგიკერავეთ ღამაზე, არ დარჩებით ნაწყენი, ობობასგან ვიყოფით ძაფი აურაცხელი. გაულევიით გზას მადე, ნულარ დაიგვიანებთ! — ...და ფრთოსნებმა რიგ-რიგად ცაში გაიფრთხილეს. თვითფრთხილმა სამ დღეში ტანსაცმელი ახალი





შეიკერა, სუყვედა  
 ახალ სამოსს დაჰხარისა  
 მაგრამ აი ლამურა,  
 რომელს დაენანება?  
 ფულურაში ეძინა,  
 თუმც გაიგო ბრძანება,  
 მეხუთე დღეს წამოხტა,  
 როცა გამოვლევია,  
 ფარშევანგთან მივიდა,  
 ქსოვიდს ველარ ვლირსა.  
 არწივს შვატყობინეს,  
 მან კი გასცა ბრძანება:  
 — დავეაღოს სამსჯავროს,  
 რომ ეს დაგვიანება  
 კარგად გამოიძიოს  
 და დადოს სასჯელი! —  
 აქ სამსჯავრომ იმსჯედა,  
 ჰოდა, ზარმაცს, ბარჩენილს  
 ჩამოართვა რაც ეცვა  
 სამოსი და ახალი  
 აღარ მისცა... ფრთხილნებმა  
 მორთეს სიცილ-ხარხარი...  
 როცა ნახეს ლამურა  
 სამარცხვინო, შიშველი,  
 უთხრეს: — აბა, რა გიყოთ,  
 ვერაგინ ვერ გიშველის,  
 ისევ უნდა შესწავლე  
 თავსვე უსაყვედურო,  
 ზარმაცი და მძინარა  
 სხვას ვის უნდა ემღურო?  
 კრინტიკ არსად არ დასძრა,  
 რას გარგია ხმაური?!  
 ეგ სიშიშველ შენივე  
 არის დანაშაული!  
 შენი სიზარმაცის და  
 შენი ძილის ბრადია,  
 ამდენ ხანს რომ გეძინა,  
 რას ფიქრობდი, ძამია?! —  
 წინათ ყვედგან რომ ქროდა,  
 ჯიქურ, ნიაგ-ქარულად, —  
 დღისით გარეთ ვერ ფრინავს  
 იმის შემდეგ ლამურა.  
 ლამისფერმა სიშავემ  
 დაუკარგა მშვენიება,  
 მიტომ დღისით სირცხვილით  
 ვერვის ვერ ეჩვენება.

# სიკსხვილი

აკაკი გუგუშვილი

მწყემსებმა ნახირი მთის ფერღობზე შერეკეს თუ არა, რიკ-ტაფელას თამაში გააჩაღეს. ვიდრე მზე უღრუბლო ცაზე შეიმალლებდა, ოფლგა-



დამსკდარნი დასდევდნენ ტაფელათი გატყორცნილ რიკს, მაგრამ თანდათან იძალა ხეტხეტი და

მათაც თამაში მიატოვეს; ძროხები მზისგულიდან ტუეში შერეკეს.

ტყინპირას მანდვრისკენ დაწმენდილი მდინარის ტოტი—ხეორის წყალი მოიღვროდა. ბიკებმა საბანაოდ მაშინვე იმ ცივ და კრიალა წყალს მიაშურეს.

მდინარის ტოტში ლიფსიტები ერთმანეთს დასდევდნენ, ცელქობდნენ, თამაშობდნენ. უცებ, თითქოს წყალი მოსრიალე ცისარტყელამ გაანათათაო, წამით გაიელვა მოწრდილმა კალმახმა და ჯილეს შეეფარა. ბიკებს მისკენ გაექცათ თვალი, ვთვამ აღტაცება ვერ დამალა:

— ბიკებო, ნახეთ, რა ლამაზია კალმახიანი წყალი!

მწყემსები ის-ის იყო საგანგებოდ დაგუბებულ მორევში უნდა შეცურებულაყვნენ, რომ გვიგამ წამოიძახა:

— მოდით, ვიკალმახთ, დავშქეროთ მდინარე!

— მერედა, დაშქერვა ვინ იცის?—ჰკითხა ვაჟამ.

— რა დიდი ცოდნა მაგას უნდა,—ხელი აგდებულად აიქნია გვიგამ,—შქერის ნოშო უნდა დავნაყოთ ქვით, მერე დანაყილი ფოთოლი ერთ-ერთმა ჩვენთაგანმა ზემოთ წყალში ჩაყაროს, დანარჩენები კი დაშქერილ მდინარეს აქ დავუხვდებით, იცით, რა დამართება თევზს?.. გაბრუვდება, ამოტივტივდება და დაქერის მეტი აღარაფერია საჭირო.

გვიგის სიტყვა ტკუაში დაუჯდათ მწყემსებს. მაშინვე შეუდგნენ საქმეს. მდინარეში ჩაყარლმა შქერის დაჩექვილმა ფოთოლმა მოწამლა წყალი. ზვირთებში წამოტივტივდა გულაღმა ამობრუნებული კალმახი და, მერე რამდენი!

ბიკები სიხარულით ცას ეწვივნენ. უმაღვე მაისურებს კალთები ძეწნის წკეპლებით წაუკრეს, სახელურებში წნელი გაუყარეს და სახელდახელოდ გაკეთებული ხაღებთ შეუდგნენ თევზის ქერას.

ხეორის წყლის ჩხრილს ბავშვების გაძახილგამოძახილი შეერია:

— არიქა, ბიკო! ჰე, წყალმა არ წაიღოს, თო-



რემ ველარ დაეწვიო!

— უპ, შენი გულისა, შეხედეთ, რა ზვათქუნა კალმახია!

— მიდი, მიჰყე, გაეკიდე!..

სალამოს მწყემსებმა შინ ბლომად მიიტანეს კალმახი.

ვათამამებულებმა მეორე დილას ისევ მიაშურეს ხეორისწყალს, ისევ დაჩეჩქვეს მწვანე შქერის ნოშო და ჩაყარეს წყალში, ისევ გააკეთეს წითელი მაისურების ბადეები და ჩადგნენ ზვირთებში.

დიდხანს იდგნენ ასე, მაგრამ ერთი კალმახიც აღარ ამოტივტივდა.

— რა მოხდა?!—იკითხა სახტად დარჩენილმა გვიგამ.

— ბიჭებო, ეტყობა, წყალში ერთი ლიფსიტაც აღარაა!—წამოიძახა ვაჟამ და გაკვირვებულმა მხრებზე აიჩინა,—გუშინ რა ლამაზი იყო კალმახით სავსე მდინარე!

მგლოვიარეს ჰგავდა ხეორის წყალი, ლურჯად აღარ ლიფლივებდნენ მისი ტალღები. წითლად დაფორეგებულ კალმახთა თვალწარმტაცი ცისარტყელები აღარ ელავდნენ მის შორეულში. ვაჟას მოეჩვენა, რომ აქამდე მხიარულად მოხხრილვე ხეორის წყალს ხმაში სევდა შეჰპარვოდა. თავის უბეში გაზრდილი შვილების—კალმახების დაკარგვას დარდობდა აღბათ. დანაღვლიანებულმა ბიჭმა გვერდზე მიიხედა და მეფუტკრე—ლაზარე დაინახა.

ლაზარემ წარბშეკვრით ახედ-დახედა მოთევზავე ბიჭებს.

ვაჟამ უხერხულობა იგრძნო, საღმის თქმაც კი ველარ მოახერხა. სხვებიც მაშინვე მიხვდნენ, რომ ლაზარე კარგი ამბის სათქმელად არ იყო მოსული.

მეფუტკრემ რატომღაც მხოლოდ ვაჟას ჰკითხა:

— გუშინ შქერი თქვენ ჩაყარეთ?—ვაჟა უსიამოვნოდ შეიშმულა,—ჰოდა, ამ წყალში ახლა რაღას ეძებთ? შქერის დანაყოფი ფოთოლი რამდენიმე წლით სპობს თევზს. ვერ გიქნიათ კარგი ამბავი, თქვე ვიმიებადურებო. თევზი მარტო სუფრას კი არ ამშვენებს, უპირველეს ყოვლისა წყლის მშვენიერება... თქვენ კი მოგისპიათ ეს მშვენიერება.

მთის ცივ წყალში მუხლამდე მდგარ მხრებაწურულ ბიჭებს ჯერ გაოცება და შიში გამოეხატათ სახეზე, მერე სირცხვილის ზვითქი ასკდათ. თავები ჩაჰკიდეს და აღარ იცოდნენ—სად დაემალათ აართოლებულ ხელებში შერჩენილი მაისურებისაგან სახელდახლოდ გაკეთებული წითელი ბადეები.



ნახატები ვახტანგ გულისაშვილისა



# ქ ს ვ უ ჯ ც ა რ ე

## ჭამოქანა

მისი სახელი შედგება  
ორი ცხოველის სახელით.  
ეინ გამოიყენებს რა ჰქვია,  
უან არის მისი მზახველი?  
როსტომ პლანიძე

## შეპორგომა

შალვა შუბლაძე

თავისი დრო  
იცის დრომა,  
კარსე მოდგა  
შემოდგომა.  
ამ დროს საქმეს  
რა გამოიღვეს,  
თუკი გულობ  
მოინდომა.  
ზატარებმაღ  
არ ისურვეს  
უქმაღ ჯდომა,  
უქმაღ სტომა.  
დიდებს მხარში  
ამოუდგენს,  
გახალისდა  
უფრო შრომა.

## ქვასსახეები

			მ	ხ	ვ	ე	ქ
	ა		ც	ი	ა	მ	
ვ	ი		ი				
			ბ	ა			
	ბ		ა	ე	რ		
			მ	შ	ი		
			ხ	ა	მ	ი	
ბ	ა	მ	ს	ი			
ბ	ა	შ	ე				
	რ	ი	ზ	მ	ხ	ი	

შეაქვით ცარიელი ფურცლები ბალახის მკამელი ცხოველების სახელებით ისე, რომ ფერად სვეტში მიიღოთ: „ქართული ენა.“  
შეადგინა ქ. თბილისის მე-100 საზ. სკ. მოსწავლემ ლევან ბაღრაძემ.

### ფისო და მურიკა

ლელია პრაძე

— მოდი, ერთად ვითამაშოთ, ჩემო კარგო ფისუნო! —  
ფისოს შესთხოვს მურიკელა სასიკეთოდ მისული და თან კულის ქიციხით და ფერება—ლაჭუკით იმ ხეს უვლის, აფხოზილი ფისო რომ ასული.

# მხატვარი

ვასილ სიმონია

ბრჭყალბასრი და ჭრელი—  
თვალბრილა კატა,  
ზუსტად—ვეფხვის მსგავსი,  
ზურამ დამიხატა.  
დაბლვერილი, ავი,  
კუდი—ოდნავ კრძელი.  
ზურა ამბობს:—რა უქნა,  
მეტი ვერ შეუძელი.



# მნიშობისთვა

ტაბუ მებურთვილი

მწიფობისთვე დაიწყო,  
ჩაიარა ზაფხულმა,  
შეითვალა ძელშავი,  
რქაწითელი,  
კრახუნა.  
ვაზი მტევნის სიმძიმემ  
ლაშის წელში გალუნა  
და ვენახში სიარულს  
მოუხშირა კახუნამ.



# მშიზარა

გაახარებს დედას  
თუკი ოთახს დაგვის,  
მაგრამ რა ქნას ლიამ,  
ეშინია თაგვის.



# სოკოზა

თამარ შიმშილაშვილი

— ვაი, დაგვაგვიანდა,  
გაიღვიძე, გოგო,  
მანანას და ლიას  
უკვე მოაქვთ სოკო!

შეადგინა ოტობაიას სახ. სკ. მოსწავლემ ინდირა  
ზანთარაიამ.

# სეხუსი

ე 10 “ “ “ ”ქე

6 869 / 148



ნახტი მიხეილ სოლოვიოვისა

ლაიქირა თუ არა ძინა სხრაქლიგულამ თიჰვი?

საქ. კ. ცე-ის  
გამოცემლობა  
Издательство  
ЦК КП Грузии

შიგარი რედაქტორი მუხრან მამბაყვარიანი

სარედაქციო კოლეჯი: ანზორ აბულაშვილი (პ/მკ. მდივანი), იმუარე ამოკაძე, კუპარი გოგიაშვილი, ლილა ანაბე, მამალა მამალაშვილი, ჯიჰორა მუჯირი, გიორგი რომიშვილი (სახ. რედაქტორი). იურამ მამბაყვარიანი, გოგიაშვილი, გიგი მამბაყვარიანი.

საქ. კ. ცე-ის და ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის რეზუბულოვური საბჭოს ვერხლი. ელახე ნახტი იმუარე ამოკაძისა.

ტექნორედაქტორი იმეო წაბთაძე

მისამართი: რედაქციის, გამოცემლობის, სტამბის—თბილისი, ლენინის, 14. ტელ.: ში. რედაქტორის—93-41-30, 93-98-15, პ/მკ. მდივანის—93-10-32, 93-98-17; სახ. რედაქტორის—63-98-18, განყოფ.—93-98-19; სამდივნოს — 93-98-16. ვადდეც: ასაწიობად 15/VI-78 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდვად 21/VIII-78 წ., კალაღის ზომა 60X90<sup>1</sup>/<sub>2</sub>, ფხ. ნახ. ფურც. 25, ტირაჟი 158.000. ზეკ. № 1754. „დია“ № 9. на грузинском языке. ფასი 20 კაპ